ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №916277

ნომერი: AR1162773

თარიღი : 18.09.2013

გაცემის თარიღი : 25.09.2013

გაცნობის თარიღი : 27.09.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ხეივანი , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი კაციტაძე პ/ნ 01012014980
- თბილისი,კრწანისის ქუჩა16 კორპ.7 ბინა 4

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1162773 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას ქ. თბილისში, ხეივნის ჩიხის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.18.05.008.021), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსების მიზნით გაცნობებთ, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის, გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები;

საცხოვრებელი ზონა 3–ის (სზ–3) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია;

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5 ;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 1,5;
- მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2.

(იხ. დანართი).

აქვე გაცნობებთ, ვინაიდან საკადასტრო ერთეული, კოდით: 01.18.05.008.021, მოიცავს ფართობით დიდ ტერიტორიას (6474 კვ.მ.), მისი სამშენებლოდ განვითარება არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავების შემდგომ, სადაც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან მისასვლელი სამანქანო გზები.

განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოადგენს - „ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას“ (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13).

განაშენიანების რეგულირების გაეგმარებითი დავალების მისაღებად, საჭიროა ელექტრონული განაცხადი, თანდართული მოთხოვნილი დოკუმენტაციით ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე –http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტელ. 237 83 46.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.